წელიწადი 1-ლი

ტელეფონი № 76.

კვირა 9 აპრილი 1917 წ.

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:

წლიურად . . . 15 მან.
ნახევარი წლით . . . 8 მან.
თვიურად . . . 1 მან. და 50 კ.
ცალკე ნუმერი შვიდი კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილნაწილად გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი:

პირველ გვერდზე სტრიქონი . . . 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე . . . 15 კ.
ქალაქ გარედან მიღებული ... სამგლოვიარო განცხადების ... გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 2 საათ. 5 მ.
2 საათის შემდეგ . . . 6 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქ. ს. მიქელაძის ს.

№ 1 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. — № 1

მეუღლე ქრისტინე იესე ავალიანის ასული ლუკიანოვისა, ქალიშვილი თამარ დავით ლუკიანოვის ასული თევზაძისა, სიძე ილია მოსეს ძე თევზაძე, ვაჟები: ალექსანდრე (სტუდენტი) ნიკოლოზ, სერგო და ლუარსაბ დავითის ძენი ლუკიანოვები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გარდაცვალებული ქუთ. სასულიერო სასწავლებლის ქართული ენის მასწავლებლის ნადვორნი სოვეტნიკის

**დავით სიმონის ძე ლუკიანოვის**

ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი დანიშნულია ქ. ქუთაისში კვირას. 9 აპრილს, დილის 10 საათზე, არქიელის გორაზე, წმიდა გიორგის საყდარში. 1—1

## მოწოდება

ქართველო ხალხო განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა ესწრაფეთ დაიმუშავოთ ყოველივე ნაჭერი თავისუფალი ადგილისა, დაეხმარეთ ერთმანეთს, დასთესეთ საჩქაროთ უფრო პური, სიმინდი, ქერი, ფეტვი, კარტოფილი და ბოსტნეული, რომ ერმა თავი დააღწიოს უსაშინელეს კარზე მომდგარ სიმშილს. თუ ჩვენი მოსავალი არ მოგვივიდა, უბედურება ელის ერს. არ დაზოგოთ ფული და შრომა, რომ უზრუნველ ჰყოთ თქვენ თქვენი თავი და თქვენი ოჯახი. სხვისი იმედი ნუღარ გაქვთ.

## მამულიშვილნო!

დღევანდელი მომენტი განსაკუთრებულს ხარჯებს ითხოვს. შემოიტანეთ თქვენი წვლილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისათვის. შემოწირულება მიიღება „სამშობლოს" რედაქციის კანტორაში.

### ელექტრო „რადიუმ" თეატრი

ხუთშაბათს 6 აპრილიდან ახალი გრანდიოზული პროგრამა: **ქრონიკა** გომონი მიმდინარე მოვლენები. **ფავი იკსი** კინო დრამა 3 დიდ ნაწილად, ცნობილ მსახიობ მანსონის მონაწილეობით. ქალის მოძულე პრესსი კომიკური.
**ანონსი:** 10 აპრილისთვის, მოწინავე ესკადრონი—სანახავი. **ინსტიტუტკა** (როცა სისხლი სჩქეფს) მშვენიერი პიესა 5 ნაწილად. ინსტიტუტკის მთავარ როლს ასრულებს ცნობილი, დაჯილდოებული ლამაზი ქალი ფრანჩესკა ბერტინი.

### ელექტრო ამპირ თეატრი

ხუთშაბათს 6 აპრილიდან საუცხოვო პროგრამა: დასვენება ლამაზ მდინარის ნაპირას, ფერადებიანი სანახავი. **ცხოვრების ფერხულში** დრამა 3 დიდ ნაწილად პეტესტიანისა, ბოსევსკის ასულისა და ბრიძინსკის მონაწილეობით. კარატუზი—ჯადოქარი, კომიკური.
**ანონსი:** 10 აპრილისთვის: ქრონიკა გომონი—მიმდინარე მოვლენები. **პირველი და უკანასკნელი კოცნა** მხატვრული დრამა 5 ნაწილად ანდრე გაბესსა და მატილდა სიმარციოს მონაწილეობით სარა ბერნარის თეატრიდან.

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ

პარტიის მთავარი კომიტეტი მოუწოდებს პარტიის ყველა წევრებს მჭიდროდ შეჰკრან კავშირი პროვინციაში—როგორც ქალაქებში, ისე სოფლად.

## ნიხრი აბრეშუმის თესლზე:

ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი საყოველთაოდ აცხადებს, რომ აბრეშუმის თესლზე დაწესებულია შემდეგი ნიხრი:

| | | |
|---|---|---|
| ეკონომიდის ფირმის თესლი მისხალი— | 1 მ. 25 კ. | **კოლოფი** 7 მ. 50 კ. |
| კონსტანტინიდის, ზარიფიანის, ოგანის და სხვა ფირმების | 1 მ. 8 კ. | **კოლოფი** 6 მ. 50 კ. |

ყოველგვარი თესლის შეძენა შეიძლება აბრეშუმის სადგურზე ბალის ქუჩაზე აგრონომ ქუთათელაძესთან, რომლის ნებადაურთველად აღკრძალულია თესლის გაყიდვა.

## ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი

საყოველთაოთ აცხადებს, რომ პურის ფქვილის, შაქრის, ყველის, გამომცხვარი პურის, საკანდიტერო ნაწარმოებთა, ბრინჯისა და მურღულის, თუ მათი წონა აღემატება 10 გირვანქას ქუთაისიდან გატანა აღკრძალულია კომიტეტის ნება დაურთველათ. აგრეთვე აღკრძალულია კომიტეტის ნებადაურთველად გატანა ქ. ქუთაისიდან ხორცეულების, საგალანტერეინო საქონლის, ტყავეულობისა და რკინეულობის რამდენი წონისაც არ უნდა იყოს იგი.

## იყიდება

დიდი სარკე, დასაკიდებელი ლამპა ელექტრონის ლამპები და მათი მოწყობილობა, ელექტრონის ზარა ელემენტებით ირმის რქა და სხვა ავეჯი, კაზაკოვის ქუჩა სახლი პავლოვისა, ბინა გრინევისა, ნახვა შეიძლება საქმე დღით სამი საათიდან. იქვე ქირავდება ერთი და ორი ოთახი. 2—1

## მრწამსი.

მთელი ერის კეთილდღეობა—ეს არის ჩვენი გაზეთის არსებობის დედა-აზრი.

დღეს ჩვენ არ შეგვიძლია საკაცობრიო იდეალების სამსახურისთვის მოვიწვიოთ მკითხველი.

ამის დროც დადგება.

ინგლისელი, ფრანგი, თუნდა დროებით აფორიაქებული რუსეთის მამულიშვილი თამამად შეჰყურებს მომავალს თვისი ქვეყნისას: იგი ეყრდნობა ერთ რომელიმე კლასს, ერთ რომელიმე დარგს ცხოვრებისას—მეცნიერებას, ვაჭრობა-მრეწველობას, ხელოვნებას, სარწმუნოებას და მით შეაქვს თვისი წვლილი არა მარტო ქვეყნის გაუმჯობესობაში, არამედ მთელ კაცობრიობასაც წინსვლაში დახმარებას უწევს.

ჩვენი მდგომარეობა სხვა არის... რიცხვით მცირენი, შეძლებით ღარიბნი, წინათ შინაგანი და გარეშე მტერთან ომებით და შემდეგ ასი წლის მონობით დაუძლურებულნი, მხოლოდ ეხლა ვიწყებთ მოქალაქობრივ ძყუდრო ცხოვრებას; ამ დროს კლასთა შორის უთანხმოების გაღრმავება, მტრობისა და შურის დათესვა, ცხოვრების მიზნათ მხოლოდ ერთის რომელიმე დარგის დასახვა ქართველი ერის მოჭირნახულეს არ ეპატიება.

ჩვენში ჯერ კიდევ საჭიროა საერთო მუშაობა.

შემოვფარგლოთ საზღვრები ჩვენი ქვეყნისა, რომელსაც ბრუნდი და მართალი ყველა ეპოტინება და შევამციროთ ასპარეზი ჩვენი მოქმედებისა, რადგან ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

შემოტანოთ ძირითადი დებულებანი მოქალაქოებრივი ცხოვრებისა, შეგნებასა, უფლება-მოვალეობისა რომელიც დაწინაურებულ ქვეყნებში საანბანო ჭეშმარიტებათ არის მიჩნეული და ჩვენში კი სასაცილო და უმნიშვნელო საგნათ აღიარებული აბუჩად აგვიღია.

ჩვენი ქვეყნის საუკეთესო შვილნი რუსეთის მოწინავე საზოგადოებათან ერთად იბრძოდენ მოქალაქის უფლების მოსაპოებლათ და თითქმის სრულიად ივიწყებდენ ერის პოლიტიკურ უფლებებს. მართალიც იყვენ, ვინაიდან, სადაც მოქალაქის უფლებები არ არსებობს, იქ ერის უფლებებისთვის ბრძოლა თითქმის შეუძლებელია.

დღეს მოქალაქენი უკვე ვართ და გულახდილათ, მთელის არსების სიძლიერით შეგვიძლია წამოვაყენოთ კითხვა ერის ჭირ-ვარამზე.

მისი კეთილდღეობა ეკონომიურათ გაძლიერება, ქვეყნის ხორციელათ გაჯანსაღება და სულიერათ განათლება დამოკიდებულია ჩვენი ქვეყნის შვილთა ინიციატივზე და ისეთ სახელმწიფოებრივ წესწყობილებაზე, რომელიც ანიჭებს ერთვის მიწა-წყალზე თვისი საქმეები თვითონვე სავსებით განაგოს ე. ი. იმ პოლიტიკურ ვითარებაზე, რომელსაც ჰქვია ეროვნულ ტერიტორიული ავტონომია.

თავისუფალი ადამიანის თავისუფალი მოქმედება საქართველოში, და თავისუფალი საქართველოს არსებობა თავისუფალ რუსეთში სამარადისო საწინდარი იქნება პიროვნების ყოველმხრივ განვითარებისა, საქართველოს აყვავებისა და რუსეთის მთლიანობისა.

**ნ. ლორთქიფანიძე.**

## სადღეისო ლოზუნგი.

უმთავრესი ლოზუნგი, რომელიც დღევანდელ მომენტს შეეფერება, არის მხოლოთ ერთი: გავამაგროთ, განვამტკიცოთ დროებითი მართველობა.

ამ ცხად დებულებას, მგონია, დიდი განმარტება და მტკიცება არ ეჭირვება. ის სხვა-და-სხვა თავისუფლება, რომელიც უკვე, ნაწილათ მაინც, განხორციელდა, მოგვანიჭა იმ მოწინავე წრემ, რომელმაც მისთანავე დროებითი მართველობა წარმოშობა. მაშასადამე, უეჭველია, რომ ეს მართველობა უფრო რიგიანათ დაამთავრებს რევოლიუციის საქმეს, და დამთავრება კი მაშინ შეიძლება, როცა ახალი მართველობა ნამდვილი მართველობა იქნება, როცა ეს მართველობა მტკიცე სახელმწიფოებრივ ძალას წარმოადგენს.

მაგრამ... მაგრამ, სამწუხაროთ, ზარდასაცემი ცნობები მოგვდის პეტროგრადიდან. და აქაურიც, ადგილობრივი ორგანოებიც ვერ უწყობენ ხელს დროებითი მართველობას.

როგორც ვიცით, დროებითი მართველობას გვერდით ამოუჯდა ჯარის კაცთა და მუშათა წარმომადგენელების საბჭო. ეს საბჭო, ჩვენდა დიდ სამწუხაროთ, თავის ნამდვილ დანიშნულებას გადადის, თავის კომპეტენციის ფარგლებში არ რჩება და ხშირად მართველობის როლს თამაშობს. აქედან გამოდის, რომ ერთ სახელმწიფოში ორი მართველობა არსებობს: ერთი კანონიერი დროებითი მართველობა და მეორე მუშათა და ჯარის კაცთა საბჭო. ხშირათ ხდება ხოლმე, ჩვენდა არა თუ სამწუხაროთ, არამედ პირდაპირ საუბედუროთ, რომ საბჭო ახალი მართველობის განკარგულებას არღვევს და თავისი წინააღმდეგი განაჩენი გამოაქვს. აქ ორი მართველობაც აღარ გამოდის. დარჩენილა მართველობა მარტო ერთი,—მართველობა პროლეტართა და ჯარის კაცთა საბჭოსისა.

ეს, რა საკვირველია, იმას ნიშნავს, რომ საბჭო—ნებით თუ უნებლიეთ—სამარეს უთხრის ახალ მართველობას და მიყავს მთელი სახელმწიფო იმ ხრამისკენ, სადაც არც დროებითი და არც არავითარი მართველობა არ არის. და ამისთანა მდგომარეობა, ამისთანა ანარქია, მოგეხსენებათ, ქვეყნის რა სასაშიშრო სნეულებაა. პოლიტიკოსები სამართლიანათ ამტკიცებენ: ცუდი მართველობა იმდენათ სასაშიშრო არ არის, რამდენათაც ყოველივე მართველობის მოსპობაო.

მაგრამ შეიძლება თქვან ზოგიერთებმა, უფრო ჩვენმა დასელებმა: რა წახდება იმით, რომ ახლავე დროებითი მართველობის ადგილი საბჭომ დაიჭიროსო.

ამის პასუხი ადვილია: არა თუ ამით თავისუფლების დიადი საქმე შეფერხდება, ჩვენი ღრმა რწმენით, რევოლიუციის ნაყოფი საუკუნოთაც კი მოგვესპობა.

საჭიროა, დიდათ საჭიროა შევიგნოთ თავთავისი როლი, შევიგნოთ ის, ვინ რა დარგში ვარგა, ვის რა საქმის გაკეთება უფრო შეუძლია. ყველასათვის ცხადია, რომ მუშა ხალხი და ჯარის კაცები შეუდარებელი ფაქტორებია რევოლიუციის შექმნისა, მაგრამ ისიც ცხადზე უცხადესია, რომ სახელმწიფოს მართვა-გამგეობა იმათთვის ხელსაყრელი და ადვილი ტვირთი არაა.

ამასთან ისიც უნდა გავიხსენოთ აქ, რომ ჯარი და მუშები სახელმწიფოს ყველა ელემენტს ვერ წარმოადგენენ. მუშა მარტო თავის, პროლეტარიატის, ინტერესს იცავს. სახელმწიფოებრივი ურთიერთობა კი სხვა-და-სხვა ელემენტებისაგან, ყველა კლასებიდან შესდგება. ახლა სწორეთ ამისთანა მართველობაა, რადგანაც ამ მართველობის შემადგენლობაში შედიან ყველა პროგრესიული პარტიის წარმომადგენელნი და მათ რიცხვში სოციალ დემოკრატებიც.

ეს საჭოჭმანო საკითხი ჩვენ მარტო არ წამოგვიყენებია. ამაზე უკვე გაცხარებული სჯა-ბაასია სატახტო ქალაქების გაზეთებში. მაგ. გაზეთი День-ი პირდაპირ ამბობს, რომ როდესაც მუშათა საბჭო მართველობას ჩემულობს, ის განმათავისუფლებელ მოძრაობის ლოღიკას ეწინააღმდეგებაო. „Совѣтъ рабочихъ и солдатскихъ депутатовъ-განაგრძობს გაზეთი-не можетъ и не долженъ превратиться въ правительство".

შეიძლება თქვან, რომ გაზეთი День-ის აზრი ჩვენთვის სავალდებულო არაა. ამ შემთხვევაში ნება მომეცით მოვიყვანო გაზ. „Впередъ"-ის აზრი, იმ გაზეთის აზრი, რომელიც სოციალ-დემოკრატების, „მენშევიკების", ორგანოს წარმოადგენს.

გაზეთი სწერს: როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური (общественно-политическія), ისე ტეხნიკურ საქმიანობითი (техническо-дѣловыя) მოსაზრებანი გვავალებენ ვთქვათ, რომ მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს არ უნდა მიეცეს ის როლი, რომელიც იმას არ შეეფერება, არ უნდა დავსდოთ იმას ის ტვირთი, რომლის ატანა მას არ შეუძლია. რუსეთის გამგეთ უნდა იყოს ამ დროში მხოლოთ ის დაწესებულობა, რომელიც აღჭურვილია ყველა კლასების ნდობით („всеклассовымъ довѣріемъ"), რომელსაც ყველა წრეები მხარს უჭერენ. ამისთანა დაწესებულება არის დღეს დროებითი მართველობა".*)

მე მგონია, ამ სამართლიან შეხედულებას ჩვენი დასელებიც გაიზიარებენ. და თუ გაიზიარეს, მაშინ, რაღა თქმა უნდა, არ იქნება საჭირო, ვინმე ყოველ კუთხეში იქადაგოს, რომ ეს რევოლიუცია სოციალ-დემოკრატიამ შექმნა და დროებითი მართველობაც მისივე ხელში უნდა იყოსო. მოგეხსენებათ, ქუთაისშიც არის დაარსებული ჯარის კაცთა და მუშათა საბჭო, რომელიც, როგორც გვესმის, ხანდახან აღმასრულებელი კომიტეტის უფლებებს ითვისებს. დღევანდელი დიადი მომენტი ავალებს დასელებს, რომ შესაფერი ზომები მიიღონ და საბჭოს თავისი კალაპოტი უჩვენონ. მაშინ მივაღწევთ იმ მიზანს, რომ ახალი მართველობა ნამდვილი მართველობა იქნება, რომ ამ მართველობას სახელმწიფოებრივი ძალ-ღონე მიეცემა.

ამაშია დღეს ჩვენი ლოზუნგი.

**დ. გურული.**

## სადღეისო თემა.

რუბიკონი გადალახულია. მოძველებული, დრო მოჭმული სოციალური წესწყობილება კვდება და უსათუოთ ისტორიას უნდა ჩაბარდეს. დღეს სიცრუეს სიკვდილის განაჩენი უნდა გამოეტანოს და შეიძლება არა ისე მალე, მაგრამ დღეს თუ ხვალ ჭეშმარიტება აღსდგება და რუსეთის ცხოვრებაში ახალი ერი იწყება.

დიახ, მომენტი მეტად და მეტად სერიოზულია; იგი ოცჯერ გაზომვას და ერთხელ გადაჭრას მოითხოვს. ერთი ნაბიჯი უაზროთ გადადგმული დაღუპვას გვიქადის ერთი, სიტყვით, ისტორიულმა მომენტმა სთქვა:

„ან დღეს, ან არასოდეს." ბევრი დაიწერა, მაგრამ ჩვენ კვლავ გვინდა ვიკითხოთ როგორ დახვდა მას ქართველი ინტელიგენცია? რას აკეთებს იგი? ხსნის და მარტავს თუ არა ცხოვრების სიღრმეში დაბადებულ მოვლენებს? კი-

---

*) როგორც დღეს გაზეთები გვაცნობს, ამაზე მენშევიკებს განსაკუთრებელი დადგენილებაც გამოუტანიათ.

ავტ.

სრულობს თუ არა ქართველი ინტელიგენცია თავისი სულიერი ძალღონე ქართველ ერს მოანდომოს? როგორ პასუხს აძლევს იმ მძლე კითხვას, რომელსაც ეწოდება „დღეს თუ არასოდეს?“ ვინც ოდნავ ზერელეთ მაინც თვალს ადევნებს ჩვენს ცხოვრებას არ შეიძლება, რომ ამ კითხვებზე დადებითად გიპასუხოთ.

ქართველი ინტელიგენცია მოწინააღმდეგე ბანაკებათ გაიყო და ერთმანეთის კინკლაობაში კარგავს ფრიად ძვირფას დროს. არა ავტონომისტთა პარტია ბატონობის ხელში ჩაგდებას სცდილობს და ამისთვის არ დაგიდევთ. არავითარ საშუალებას. ხსენებული პარტიის ხმა ტონს უმატებს და ჩვენი ეროვნული თვითმართველობის საქმე სამარის პირს უახლოვდება. ხოლო ქართველ ერს სიცოცხლე უნდა; მისი დაკაწრული სახე ექიმობას, მოვლას მოითხოვს, რომ კვლავ განაგრძოს წინსვლა და კაცობრიობის სალაროში თვისი, ქართული წვლილი შეიტანოს. დღეს ყველას თავი მართალ კაცად მოაქვს; ყველა დამნაშავეს ეძებს და მოწინააღმდეგე პარტიები ერთმანეთს ღალატსა სწამებენ, ერთმანეთს ქართული საქმის დამღუპველთ ეძახიან.

ქართველი ერი კი გზა-ჯვარედინზე სდგას; ვერ გამორკვეულა, რომელს დაუჯეროს, საით წავიდეს.

დაცინვაა ბედის, აბა სხვა რაა!

დღევანდელ ხსნისა და თავისუფლების მომენტში საქართველო სდუმს; თვის უფლებებს არ ითხოვს; და ძველ ნიჰილისტურ ჰანგებზე ნაზარდი მისი ინტელიგენცია ითმენს ასეთ რამეს; მან შინაური კინკლაობა ამჯობინა ყველასფერს. ვინ არის დამნაშავე ასეთი არევ დარევისა?

დამნაშავეა ის ვინც იმის მაგიერ, რომ დღეს ერთობისა და ერთად მუშაობისაკენ მოგვიწოდოს გვეუბნება:

„განა შეიძლება თავისუფალ რუსეთში, თავისუფლება არ მიენიჭოს რომელიმე ცალკე ეროვნებასო?“

ბატონებო, გვწამს ეს საერთო მოხაზული ფრაზა, მაგრამ დღეს ჩვენ გვინდა ვიკითხოთ, როგორი იქნება იგი თავისუფლება კერძოთ ქართველი ერისთვის; როგორ ფორმაში ჩამოისხმება ქართველი ერის თავისუფლება? ეს საჭიროა სწორეთ დღეს, ეხლა, იმიტომ რომ დამფუძნებელ კრებას დღე-დღეზე ველით, საქართველო საერთო კრების წინ უნდა წარსდგეს, როგორც ასეთი, გამრკვეველი, შემუშავებული დირექტივებით.

დამნაშავეა ის, ვინც გაიძახის დღეს ჩვენ ეროვნული კითხვებისათვის არა გვცალია ჩვენ უნდა რუსეთის მშრომელ მასასთან ერთად ვწიოთ ჰაპანიო.

ქართველი ერის თავისუფლების მოხოვნელნი რუსეთის მშრომელ მასასთან ერთად ხელჩართულნი იბრძვიან, როგორც გერმანელთა ურდოს წინააღმდეგ, ისე რომანოვთა ჟანდარმერიის დასამხობათ.

ამის უარყოფა ცრუ აზრია და ხალხში გადასროლილი შემცდარი სიტყვა ისევ დამნაშავე გადამსროლელს უკან უნდა დაუბრუნდეს, ვინაიდან ამას ითხოვს არა რომელიმე ცალკე პარტია, არამედ სიცოცხლე საქართველოსი. სწორეთ ჩვენი ეროვნული თვით-გამორკვევის შემფერხებელია ის, ვინც ამბობს: „დაემორჩილეთ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, როგორც ყველაზედ უძლიერესს დღესაო“. რას ქვია ბატონებო დამორჩილება?! ასეთი ფრაზა, ჩვენი ღრმა რწმენით არ შეფერის განმათავისუფლებელ პარტიას. ჩვენ 23 თებერვალს აქეთ უარვყავით ყოველგვარი დამორჩილება და თავისუფლებას გულში ჩავეკარით. ჩვენ ვერ დავემორჩილებით ვერავითარ იმ პარტიებს, რომლებიც ჩვენი ეროვნული თვით-გამორკვევის საკითხს ნაადრევათ აღიარებენ ამ საბედისწერო წუთს. რატომ? იმიტომ, რომ ეს პარტიები მისი ლიდერის პირით ამბობს: „თუთხმეტი წელიწადია ენერგიულათ ვეომები ავტონომიის იდეის ხორცსხმას და დღესაც ასე უნდა ვეომოო“. ეს კი ქართველი ერის, როგორც ერთეული ზახის უარყოფას ნიშნავს და ვინც უარყოფს საქართველოს სიცოცხლეს, როგორც ცალკე ერისას, იმას პარტია იგი თუ სხვა ვინმე არც ზნეობრივი, არც მოქალაქეობრივი და არც იურიდიული უფლება არა აქვს მოითხოვოს ვინმეს დამორჩილება.

დამორჩილება დღეს უნდა დაიკმოს და გზა თავისუფლებას მიეცეს. დიე, მივცეთ საშუალება ერთობის იდეის გამარჯვებას, ვინაიდან ხსნა ერთობაშია. ყოველივე ძალა ვიხმაროთ და ჩვენი გაერთიანებული ღონე მომაკვდავ ძველი რეჟიმის დასამარებას მოვანდომოთ, მაგრამ საშუალება მიეცით ქართველ ერს თვით-გამორკვევის, თვისი უფლებების გადასინჯვის, ვინაიდგან იგი უნდა წარსდგეს დამფუძნებელ კრების წინ და უნდა მოითხოვოს თვისი მივიწყებული უფლებები.

Lado.

# მწარე განსაცდელის წინაშე.

საერთო ძალით მოპოებული თავისუფლება ხიფათში ჩავარდა.

რევოლიუციის ნაყოფიერება პროლეტარიატმა და ჯარისკაცთა საბჭოებმა მიისაკუთრა. რევოლიუციურ რუსეთის დროებითი მთავრობა ყველგან და ყოველთვის მუშათა და ჯარისკაცთა ნაკარნახევს ექვემდებარება. ამას გაბედულად აცხადებს „Рабочая газета“ც ქვეყნის უკეთეს მომვლელად და პატრონად დღეს სოციალ-დემოკრატიული პარტია გამოდის. პროლეტარიატს თავისებურად სურს ომის გაგრძელება, ზავის ჩამოგდება, თუ სახელმწიფოს გამგებლობის სახის შექმნა. სოციალ დემოკრატიული პარტია უკვე აშკარა ომს უცხადებს არა სოციალისტურ პარტიებს და მათ საქვეყნო საქმეებში მოღვაწეობასაც უკრძალავს. რუსეთი მარტო პროლეტარებს და ჯარისკაცებს არ ეკუთვნით ცხადია მათი დიქტატურას ვერვინ შეურიგდება და ის დაშლა განხეთქილება, რომელიც ამ ხანად იწყება ხვალ და ზეგ ელვის სისწრაფით გაფართოვდება, რაც რევოლიუციის დამღუპველ პირობების უკეთესი წარმომშობი იქნება. სატახტო გაზეთებში მომქმედ ჯარის სარდლები სწერენ, რომ თითქმის გაქრობილი დეზერტირობა ხელახლა იკიდებს ფეხს, რადგან მშრომელ ხალხისგან შედგარ ჯარში გავრცელებულმა ხმამ, რომ ამ ჟამად დიდ ლატიფუნდიების უფასოდ ჩამორთმევა და მათი განაწილების პროცესი სწარმოებს, ნაყოფი გამოიღო და ჯარისკაცები სახლში გარბიანო.

რუსეთის ბევრს მაზრებში ხალხმა მიისაკუთრა დიდი მამულები, გაყოფაში დავა ხქვთ, სჩეხენ ტყეებს და ხვნა თესვას სრულიად ივიწყებენო.

თქმა არ უნდა ასეთი ატმოსფერა ცუდ თავისუფლების განმტკიცების საქმეს შეაფერხებს. მაგრამ თავი და თავი ის არის, რომ რუსეთის პოლიტიკური პარტიები ყოველ დღე იყოფებიან და ცალკე ოპოზიციებს ქმნიან. სოციალ-დემოკრატიული პარტია დიდიხანია მეუმრავლესებათ და (ბოლშევიკები) მეუმცირესებათ (მენშევიკები) არის გაყოფილი. მეუმრავლესეთა პარტია ცეცხლს ანთებს მუშებისა და მწარმოებელთა შორის, მუშებს რაზმავს დამფუძნებელ კრების ასაფეთქებლად, მოითხოვს დაუყონებლივ თავისებურ ზავს და ახლანდელ სახალხო მთავრობას ჯალათებათ ნათლავს. სოციალისტური პარტია აშკარად ნიჰილისტობას იჩენს ყველაფერს არღვევს და ანბანის არ მცოდნეთა ქვეყანა სწადს ორ საათში მარქსის ალთქმის ქვეყანად აქციოს. ხსენებული პარტია სასტიკ დასჯით ემუქრება ყველა იმათ ვინც რევოლიუციის შესაფერისად არ იმოქმედებს.

ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ აღსაშფოთებელია, როდესაც ისინი ყველა არა სოციალისტს რევოლიუციის მტრად სთვლიან. საზოგადო ძალების ასეთი დამცირება უეჭველია მავნეა თვით რევოლიუციისთვის. რევოლიუციისთვის მომქმედ ბურჟუაზია და სახალხოთავისუფლების პარტია მათ ქვეყნის მტრად გამოაცხადეს. ამას უნდა დაემატოს ის მოვლენაც, რომ ჯარის და მუშების შორის გამწვავდა განწყობილება. (პეტროგრადში ბრძოლის ველიდან მრავალი დეპუტაცია მოდის და თხოულობს ყველა ორგანიზაცია დაემორჩილოს ახალ მთავრობას.)

პოლიტიკურ ბრძოლის ასპარეზი დღეს ქალაქია. იქ იყრის თავს მშრომელი და არა მშრომელი და ერთმანეთის წინააღმდეგ ირაზმება. ამავე დროს მიწები უთესი რჩება და სახელმწიფოს დამშევა მოელის. ამრიგად დღეს რევოლიუციური ცხოვრების სახე მეტად ქაოტიური და დამაფიქრებელია. იბადება ეჭვი ვაი თუ პოლიტიკურ პარტიების ჟინიანობით, პირველობის დაჭერის წადილით ყველაფერი დაიღუპოს და ბოლოს რუსეთის ბედი დროის მიერ ამოტივტივებულ რომელიმე კერძო პიროვნებას ჩაუვარდეს ხელში. ამას გვეუბნება ჩვენ ისტორია, გაიხსენეთ საფრანგეთის რევოლიუცია, როდესაც მოგებული საქმე პარტიულ უთანხმოების გამო ნაპოლეონ ბონაპარტეს ჩაუვარდა ხელში: ვინ დაღუპავს ქვეყანას ეს სულ სხვა საკითხია, და მისი გამორკვევა გაფუჭებულ საქმეს — ვერას არგებს. საყურადღებოა ის პოზიცია, რომელიც დაიკავა ევროპის სოციალისტებმა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების მიმართ. მაგალითად, ცნობილი სოც. ერვე ჰგმობს მუშათა და ჯარისკაცთა დიქტატურულ მოღვაწეობას უტოპიური მიზნების განსახორციელებლად. ყველა გრძნობს, რომ დღეს რუსეთი რამდენიმე მტრულ ბანაკად გაიყო. რუსეთის ხალხი მწარე განსაცდელის წინაშე წარსდგა.:.

გარდა იმისა, რომ რუსეთს გარეშე მტერი კარს ადგია და დაქცევით ემუქრება ამავე დროს მას დაღუპვა შიგნითაც უმზადდება ნიადაგი. რუსეთი კატასტროფას ვერ ასცდება, თუ დროზე არ იქნა შეგნებული, ის საანბანო ჭეშმარიტება, რომ მთელი ხალხის ბედ იღბალს რომელიმე პარტია ვერ წაიყვანს სასურველ გზაზე და რომ ხალხის საქმე ამ ხალხისვე ყოველ წრეს უნდა ეკითხებოდეს.

ირ - დი.

# ახალი მთავრობა.

**თავისუფლების სესხის კომიტეტი.**

**პეტროგრადი.** 6 აპრილს. ფინანსთა სამინისტროსთან შესდგა კრება სამხედრო სესხისათვის საზოგადოებრივ ძალთა დამხმარე კომიტეტისა. დაესწრენ საზოგადოებრივი და ნაციონალურ ორგანიზაციათა, პოლიტიკურ პარტიათა, სამღვდელოებისა, გამსესხებელ დაწესებულებათა და კოოპერატივების წარმომადგენელნი. კრება გახსნა თავმჯდომარის ამხანაგმა პროფესორ ტუგანოვსკიმ. მერე თავმჯდომარეობა მან სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს როძიანკოს ვადასცა. ფინანსთა მინისტრმა კრების ყურადღება შეაჩერა რუსეთის ფინანსიურ მდგომარეობაზე: რუსეთს ძალიან დიდი ხარჯი მოელის. ერთი თვის განმავლობაში სამხედრო საჭიროებისათვის მილიარდ ნახევარი იხარჯება. წლის დამლევს სახელმწიფოს ვალი 55 მილიარდამდე მიაღწევს. ხოლო ამ ვალის საპროცენტო თანხა მილიარდ ნახევარს გადააჭარბებს. ამას გარდა დიდი ფული გვჭირდება ახალ წესწყობილებისთვის, საჭირო რეფორმების განსახორციელებლად. საგრძნობლად უნდა გავადიდოთ აგრეთვე დაშავებულ მეომართა სასარგებლოდ გადადებული თანხა. ახალი ქაღალდის ფულის გამოცემა მინისტრს არა სასურველად მიაჩნია. უმჯობესია შინაური სესხის აღება.

დიდი ხარჯები საშიში არ არის, თუ ჩვენს ბუნებრივ სიმდიდრეს გამოვიყენებთ.

განათლების მინისტრმა მანუილოვმა სთქვა: ახალი სესხი არა თუ მარტო თავისუფლებისა, არამედ კულტურული სესხიც არის, რადგანაც მისი მეტი ნაწილი კულტურულ საჭიროებისათვის გადაიდება, აზრად გვაქვს სახალხო განათლება გავაფართოვოთ, რისთვისაც დიდი ფულია საჭირო.

უნდა განვავითაროთ არამც თუ ეკონომიური, არამედ სულიერი ძალებიცო. მიწადმოქმედების მინისტრმა შინგარევმა განაცხადა: ეს სესხი ხალხის სამოქალაქო მოწიფულობის გამოცდაა.. თავისუფლება სიკეთე და უფლებიანობაა, ამასთანავე ვალდებულებაც, უნდა გავთავისუფლდეთ და ამიტომ ხანდახან ზედმეტი სიამოვნება უნდა დავთმოთ კიდეც. ამ შემთხვევაში კი დათმობა არ გვჭირდება, რადგან სესხი ხელსაყრელი საქმეაო.

პოლონურ ორგანიზაციათა სახელით ვილეპოლსკიმ სთქვა, პოლონელები ყოველთვის თავდადებული იყვნენ რუსეთის ინტერესებისათვის. ახლა კი პოლონელები უფრო დაეხმარებიან მთავრობას, რადგან თავისუფალი რუსეთი თავისუფალ პოლონეთს მეგობრად გაუხდა. ფინანსთა მინისტრის წინადადებით კრება ტაშის კვრით მიესალმა თავისუფალ პოლონეთის წარმომადგენელს ველეპოლსკის. როძიანკომ იმედი გამოსთქვა, რომ თავისუფალი ხალხი ყოველივეს გაიღებს, რათა მის მიერ არჩეულ მთავრობას ვალდებულება პირნათლად აასრულებინოს.

**დელეგატების გაგზავნა ბრძოლის ველზე.**

**პეტროგრადი** 6 აპრილი. სახელ. სათათბიროს დროებითმა მთავრობამ დასავლეთის ასპარეზზე დელეგატებად გაგზავნა მასლენიკოვი და შმიკოვი.

**ჯარისკაცები სამხედრო მინისტრს უგზავნიან მედლებს.**

**პეტროგრადი.** 6 თებერვალი. სამხედრო მინისტრს ჯარისკაცთაგან მოდის მრავალი წმ. გიორგის მედლები, იმ მიზნით რომ სახელმწიფოს ესაჭიროება ოქრო. სამაგიეროთ ჯარისკაცებს უნდა დაურიგდეთ ნიშნები ყვითელი ლითონისა.

**სამხ. მინისტრი კიევში.**

**პეტროგრადი.** 6 თებერვალი. კიევში ჩავიდა სამხედრო მინისტრი გუჩკოვი.

# მსოფლიო ომი.

**დასავლეთის ასპარეზი.**

**პარიზი.** 6 აპრილი. ოფიციალი. მტერმა რამდენიმეჯერ მოიტანა ჩვენზე იერიშები. განსაკუთრებით აძლიერებდა არტილერიის ცეცხლს. მდ. ერნის მახლობლად მტერი მოვიგერიეთ. მონასტრის მიმართულებით მტერმა გააძლიერა საარტილერიო ცეცხლი. ჩვენ მხნერ უპასუხებდით. გორიცის მიმართულებით მტერი შევავიწროვეთ. რამდენიმე ავსტრიელი დავატყვევეთ. ოზერკოშის მიდამოებში მტერთან ბრძოლა ჩვენდა სასარგებლოდ დამთავრდა. ძლიერი არტილერიის ცეცხლის დაშენის შემდეგ, მტერმა შესძლო ხელთ ეგდო ჩვენ მიერ დაკავებული პოზიციები ჩერვენსტეკის მიდამოებში. მან დაისაკუთრა რამდენიმე თხრილი. ბრძოლა გრძელდება. მაიადავის მიდამოებში მტერს ვავიწროებთ არტილერიის ძლიერი ცეცხლით.

**ჰავრი.** 6 აპრილი. ბელგეთის ოფიციალი. დიქსმიუდეს მახლობლად ბრძოლამ მწვავე ხასიათი მიიღო. ბრძოლა სწარმოებს ხელით სასროლ ყუმბარების საშუალებით.

**იტალეთის ასპარეზი.**

**რომი.** 6 აპრილი. იტალეთის მთავარ ბინის ცნობა. 5 აპრილს აიჯის და ბრენტას შუა საარტილერიო მოქმედებამ სასურველი ნაყოფი გამოიღო, ჩვენმა ბატარეებმა დაანგრიეს მტრის სიფრენი. იოლის ალპების ავსტრიელების მიერ წარმოებულმა საარტილერიო ბრძოლამ სასტიკი ხასიათი მიიღო. ჩვენი ბატარეები გორიცის მიდამოებში ენერგიულად უპასუხებდენ. იტალეთის საჰაერო რაზმი მოქმედებდა კიანოსანის მიდამოებში. მფრინავები დაბრუნდენ უვნებლად.

**უცხოეთი.**

**ამერიკა და მოკავშირეები.**

**ვაშინგტონი.** 6 აპრილი. სენატმა ერთხმად მიიღო კანონპროექტი, რომლის ძალით მოკავშირეებს უფლება ეძლევათ შეერთებულ შტატებში მოსახლე მათი მოქალაქენი გაიწვიონ სამხედრო მოვალეობის მოსახდელად საკუთარ ჯარებში.

**ესპანეთის კაბინეთის გადადგომა.**

**მადრიდი.** 6 აპრილს კაბინეთი გადადგა.

# ახალი ამბავი.

✦ გაზ. „ერთობას“ საკუთარი კორესპონდენტი კიევიდან ატყობინებს, რომ ცნობილი ფედერალისტი სტუდენტი დიდებულიძე „ოხრანა“-ში მსახურებდა, რაც საბუთებით დაუმტკიცებიათ სტ. დიდებულიძეს რევოლვერით მძიმეთ თავი დაუჭრია, იგი ჯერ ცოცხალია და მის დაკითხვას განაგრძობენ.

✦ 5 აპრილს ართაანის მეციხოვნე ქართველ აფიცერთა და ჯარისკაცთა მიტინგმა დაადგინა აღფრთოვანებით მიესალმოს და მხარი დაუჭიროს სარევოლიუციო მთავრობას და დაეხმაროს რუსეთში ფედერალისტურ რესპუბლიკის დამყარებას. გაუმარჯოს თავისუფალ რუსეთს და თავისუფალ ავტონომიურ საქართველოს.

თავმჯდომარე ინჟ. **ჯაფარიძე**

მდივანი პრაპ. **ამაშუკელი.**

✦ გუშინ ფოსტით სატახტო გაზეთები არ მოგვსვლია.

✦ ახლო მომავალში ქუთაისში მოხდება ეროვნულ დემოკრატ სტუდენტთა (განურჩევლათ სქესისა) კრება, პროვინციელ ამხანაგებს ვთხოვთ ჩამოვიდნენ. კრების დღე და დრო ცალკე გამოცხადდება.

✦ სოც-რევოლ. ყრილობა გაიმართა თბილისში 4 და 5 აპრილს. მონაწილეობა მიიღო 150 კაცმა. ყრილობამ სხვათა შორის განიხილა ის საკითხი, თუ რა დამოკიდებულება იქონიოს ამ პარტიამ დროებითი მთავრობასთან, სოციალისტ-ფედერალისტებთან. საყურადღებო იყო გრ. იაზ. ნათაძის მოხსენება. უკანასკნელთა პარტიის შესახებ მომხსენებელი ამტკიცებდა, რომ სოც.-ფედერალისტები არ არიან სოციალისტები. ყრილობამ ეს აზრი გაიზიარა.

✦ ამასაც „აღმას. კომიტ.“ ჰქვია პიატიგორსკის აღმას. კომიტეტს გაზ. „კავკაზსკი კრაი“-აზე წინასწარი ცენზურა დაუწესებია. რედაქტორს ეს ამბავი ახალი მთავრობისთვის უცნობებია, საიდანაც შემდეგი დეპეშა მიიღო:

აღმასრულებელ კომიტეტს არავითარი უფლება არა აქვს რომელიმე პერიოდულ გამოცემაზე წინასწარი ცენზურა დააწესოს.

✦ **ჭიათურის** რაიონის ბოქაულად ნამყოფმა ალხაზიშვილმა რომელიც ამჟამად არა სასურველ პირად არის მიჩნეული ქუთაისის აღმასრულებელ კომიტეტს 50 მან. შესწირა. აღმასრულებელმა კომიტეტმა ამის შესახებ მსჯელობა იქონია და ალხაზიშვილის შემოწირულება არ მიიღო.

✦ **ქალთა გაზეთი** ქუთაისში ქ-ნ კატო მიქელაძის ხელმძღვანელობით იწყო გამოსვლა ყოველკვირეულმა ქალთა გაზეთმა „ხმა ქართველი ქალისა“-მ.

✦ **7 აპრილს** ქალაქის თვითმართველობის ძველ შენობაში ბ-ნმა პავლე საყვარელიძემ წაიკითხა მოხსენება საქართველოს ტერიტორიულ ავტონომიის შესახებ. მოხსენებაზე დასწრება ბილეთებით იყო. მოხსენება ფრიად საყურადღებო გამოდგა.

✦ **წელს** ქართულ გიმნაზიაში სამოსწავლო ოლქისგან დელეგატად დანიშნული იქნება სავაჟო გიმნაზიის დირექტორი გორბუნოვი, რომელმაც უნდა შეამოწმოს მოსწავლეთა — სამოსწავლო წლის განმავლობაში მიღებული ნიშნები. რაც შეეხება გამოცდებს იგი გაუქმებულია.

✦ **ქალაქში** მეტად სამწუხარო ხმა გავრცელდა, თითქოს ვიღაც ბოროტ გამზრახველებს გელათის ტაძარი გაუძარცვიათ.

✦ **7 აპრილს** ღამით კაზაკოვის ქუჩაზე ბოროტ გამზრახველებმა გასტეხეს საკოვის სახლი, საიდანაც გაიტაცეს სხვადა სხვა ავეჯეულობა.

✦ **23 მაისს** მოხდება ქ. შ. წ. გ. ს. ქუთაისის განყოფილების საგანგებო კრება. კრებამ სხვათა შორის უნდა აირჩიოს ორვა დელეგატი თბილისში წ. კ. გ. ს. მთავარ კრებაზე დასასწრებლად.

✦ განკარგულება მოვიდა, რომ საშუალო სასწავლებლებში სწავლა 10 აპრილიდან განახლდეს.

**ს. წყგ.** (შორაპ. მაზრა). 3 აპრილს ზ. გრიგოლ მ. გაჩეჩილაძის მეთაურობით გაიმართა აქ წარმოდგენა ადგილობრივ სამკითხველოს სასარგებლოდ. წარმოდგენილი იქნა „უბედური დღე“ ვ. ბალანჩივაძისა, ადგილობრივ სკოლის მოწაფეებმა მრავალი ლექსები წაიკითხეს დამსწრე საზოგადოება დიდათ ნასიამოვნები დარჩა.

დამსწრე.

# გასაოცარი ცენზურა.

5 აპრილს, თბილისის მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატთა საბჭოების შეერთებულ კრებაზე განხილულ იქმნა კითხვა ჯარის კაცთა და მუშათა ორგანიზაციების უფრო მჭიდრო ერთიანობის შესახებ. დაადგინეს, ორივე ორგანიზაცია უნდა შეერთდეს და პეტროგრადის მსგავსად, ერთი საერთო აღმასრულებელი კომიტეტი იყოლიოს. ამოირჩიეს კომისია საერთო ორგანიზაციის კონსტიტუციის შესამუშავებლად. ილაპარაკეს საქართველოს ეროვნულ დემოკრატთა და ფედერალისტთა მოქმედების შესახებ. აღნიშნეს მთელი რიგი ფაქტებისა, რომლებიც მოწმობს, რომ ნაციონალისტები უკვე შეუდგნენ თვის ეროვნულ მოთხოვნილებათა პრაქტიკულად ნაწილობითს განხორციელებას დამფუძნებელ კრების მოწვევამდე. აღიარეს, რომ მათი მოქმედება არსებითად კონტრ-რევოლიუციონურია და ამიტომ დაადგინეს მოიწვიონ ეროვნულ პარტიების წარმომადგენელნი და მოსთხოვონ დაუყოვნებლივ შესწყვიტონ ნაციონალისტური ქადაგება და დაითხოვონ ქართველ-მხედართა კავშირი; თუ ეს მოთხოვნილებანი არ აასრულეს, ნაციონალისტთა წარმომად-

გენელნი დათხოვნილნი უნდა იქმნენ სარევოლიუციო მართვა-გამგეობის ორგანოებიდან. დაადგინეს აგრეთვე, გააძლიერონ პროპაგანდა, განსაკუთრებით სოფლებში, და დროებით, სანამ ნაციონალისტების მოქმედებით აღელვებული ხალხი დამშვიდდებოდეს, აღიკრძალოს ეროვნულ კითხვის შესახებ საჯაროთ ლაპარაკი.

. — .

თბილისის მუშათა საბჭომ გაზეთ „საქართველო"-ს გაფრთხილება მისცა და დახურვით დაემუქრა. ამის შემდგომ მუშათა საბჭოს ადგილობრივ ასოთ ამწყობთათვის გაუგზავნია მიწერილობა: რადგან ადგილობრივ გაზეთებში გრძელდება „პროვოკაციული" და „კონტრევოლიუციონური გამოსვლები, მოგმართავთ თქვენ ასოთ-ამწყობებს რათა თქვენ იკისროთ გადასინჯვა იმ მასალების, რომელსაც აწყობთ. თუ რომელიმე წერილი საეჭვო აღმოჩნდება, ჩვენ გამოგვიგზავნეთ, რომ გადავსინჯოთ და აღვკრძალოთო. კრების მცირე ნაწილი ამბობდა თურმე— პარტიული ბრძოლა იყო და იქნება. თუ რეიქციის დროს არ გვეშინოდა ბურჟუაზიული პრესის იერიშების, ეხლა რას დაგვაკლებენო. ცენზურის დაარსება სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა იქნება და ამას უნდა ვერიდოთო. შემდეგ ამისა საკითხი პრინციპიალურად დაუყენებიათ:—შესაძლებელია თუ არი რომ მუშებმა გაზეთის ცენზურა იკისრონო? დიდის ხმის უმეტესობით ამის შესაძლებლობა აღუარებიათ.

ამის შემდგომ კრება ცენზურის პრაქტიკულად განხორციელებას შეეხო. წინადადება შეიტანეს: ვინაიდან სტამბეაში ცენზურის მოწყობა საძნელოა, სჯობს ვსთხოვთ მუშათა საბჭოს, რომ მან განსაკუთრებული **საცენზურო კომიტეტი დაარსოს ნაციონალისტურ პრესისთვის.** კრებას არ შეუწყნარებია ასეთი წინადადება და **ცენზურის განხორციელება თვით ასოთ ამწყობებისთვის დაუკისრებია.**

(„საქ")

ყოველივე შენიშვნა ზედმეტად მიგვაჩნია მოქმედება ყველაფერს ნათლად ლაღადებს.

## თბილისი.

**პროფესორი** ალ. ცაგარელის დეპეშა. პროფესორმა ალ. ცაგარელმა პეტრეს ქალაქიდან „საქართველოს" რედაქციას შემდეგი დეპეშა გამოუგზავნა: „აპრილის შუა რიცხვებში ჩამოვალ. ალსდეგინ საქართველო".

— ხარლამოვის დეპეშა. ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებამ შემდეგი დეპეშა მიიღო ამიერ-კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარის ხარლამოვისაგან (საზოგადოების მიერ 22 მარტს გაგზავნილ დეპეშის პასუხად): „მადლობელი ვარ საზოგადოებისა მისამლმებისათვის. გისურვებთ გამარჯვებას სამშობლოს საკეთილდღეოთ".

— სააღდგომო დარბაზობა. აღდგომას მთავარ ეპისკოპოსმა პლატონმა აღდგომა მიულოცა სრულიად საქართველოს ქათალიკოს-პატრიარქის მოსაყდრეს ეპისკოპოს ლეონიდეს. მისმა ყოვლად ეკვდელოესობამ იმავე დღეს გადაუხადარბაზობა მთავარეპისკოპოსს პლატონს.

— კრება გაზეთის გამყიდველთა. კვირას 9 აპრილს, საათის სამზე შესდგება საერთო კრება, თბ. გაზეთების გამყიდველთა სომხის დრუჟინის ძველ შტაბის შენობაში ძველ არტელის საბოლოვო ლიკვიდაციისა და ახალ საპროფესიო კავშირის დამტკიცებისათვის პრეზიდიუმი სთხოვს ამხანაგებს დაესწრონ კრებას.

— **რომანოვთა დინასტია და გენერალი** გ. ნ. **ყაზბეგი.** ჟურნალ „20 ვეკში" დაბეჭდილია ელქ. სუვორინის წერილი „რომანოვთა დინასტია", სადაც სხვათა შორის, ავტორი ეხება ყველას მიერ საყვარელ გენერალ გ. ნ. ყაზბეგის წარსულს მოქმედებას. „როდესაც 1905 წ. გენერალი ყაზბეგი, ვლადივოსტოკის კომენდანტი, მოხსენებით წარუდგა ნიკოლოზ მეორეს, რომ ოქტომბრის დღეებში ჯარისკაცები წითელი დროშებით გამოვიდნენ, მაგრამ მან მოახერხა სისხლის დაუღვრელად მათი დაშოშმინება, უეცრივ გაქვავდა, როდესაც მეფის სიტყვები გაიგონა:

— და თქვენ სრულიად არ გისროლიაო, გენერალო?

— არა, არც ერთხელ არ გაგვისროლია, თქვენო უდიდებულესობავ.

— ტყუილად მოქცეულხართ ეგრე. უნდა გესროლნათ...

როდესაც გენერალი ყაზბეგი გამოდიოდა, ნიკოლოზმა კარებში ერთხელ კიდევ მოახსენა.

— საჭირო იყო სროლა...

სასახლიდან გენერალი ყაზბეგი სიბრაზისაგან გაფითრებული გამოვიდაო.

— დაშნაკ-ცუტუნთა პარტიის დელეგატების ყრილობა დაიწყო 6 აპრილს სამუსიკო სასწავლებლის დარბაზში. კრება 9 აპრილამდე გასტანს. კრებას ყველა კუთხიდან დაესწრო წარმომადგენლები.

## თავისუფლება.

ბრილიანტებად, იაგუნდებად და ძვირფას თვლებად.
მზით აყვავილდა ვარდის დილა—თავისუფლებად...
მე მელანდება:—
საოცრება ზღვის თეთრ გულ-მკერდით,
თავისუფლება დაგვირგვინდა უცხო სიმღერით...
ჩემს ქვეყანაში ვხედავ დადგა გამოზაფხული,
ვით პატარძალი ისე შვენის კოხტად ჩაცმული;
ქართვლისა დედა მზის სხივებით მკერდ შემკობილი,
დედოფლობს მზიურ თეთრ ტანსაცმლით გამოწყობილი...
ჭაბუკ ამირანს უშუშდება მკერდი დაჭრილი,
და მოიმღერის მთის რაინდი ბორკილ აყრილი...
ივერიის მზე აყვავილდა ოქროს რკალებით,
შევერცხლილ მთათა ალმასობის იდუმალებით;—
იმრავალფერა სიყვარულის შორით ოცნებამ,
შვება მოგვმადლა და სიცოცხლე—თავისუფლებამ..

ქუთაისი 3 აპრილი **ლადო მაჭავარიანი**

## მწვავე კითხვა.

რევოლიუციის ბურუსში მეორე რიგზე და ხშირად უყურადღებოდ რჩება კითხვა ყოფნა არ ყოფნისა—სასურსათო საქმე. ხალხის ნორმალური გამოკვება რუსეთში 1914 წლიდან ვერ მოწესრიგებულა ძველს რეჟიმს მრავალი ბრალდება წარედგინა, რომ მან ვერ შესძლო სანოვაგის საქმის მოწყობა.

დღეს ქვეყანას ახალი ორგანო განაგებს, რომელმაც საკმაოდ გაითვალისწინა რუსეთში შიმშილობის მოსალოდნელობა და ზოგიერთი პრაქტიკული ნაბიჯიც გადასდგა. რევოლიუციურმა მთავრობამ პურის მონოპოლია დააკანონა. საკვები ბარდება სახელმწიფოს ბეღელს და შემდეგ ეს უკანასკნელი საჭიროებისამებრ ანაწილებს. ასეთ ზომას გერმანიაში კარგა ხანია მიმართეს და იქ მან ნაყოფიც გამოიღო.

რა თქმა უნდა, დროებითი მთავრობის ნაბიჯი რუსეთშიც სასარგებლო იქნება, მაგრამ იგი სავსებით ვერ სწყვეტს საჭირბოროტო კითხვას სანოვაგის საქმის მოგვარებისას. უმთავრესი სიძნელე წარმოშვა მუშა ხელის შემცირებამ. სასოფლო მეურნეობის გასაუმჯობესებლად ჯერ რუსეთში არ არის მიღებული სათანადო ზომები, როგორიც მიწის სამუშაო მანქანების მიწოდება, სათესლეს დარიგება და მეურნეობის ახალი დარგის შექმნა. რუსეთში ძველს მმართველობას დაძველებულ მეურნეობის გარდასაქმნელად პრაქტიკულად არ უმუშავნია. გარდა ამისა ხაზ გასმით ის უნდა აღინიშნოს, რომ წელს, მომხდარ პოლიტიკურ ცვლილებით და მის მიერ შექმნილი იდეალებით გატაცებული ხალხი საკმაოთ აღარ ამუშავებს მიწებს. რუსეთიდან ცნობები მოდის რომ ბევრს მაზრაში ხალხი დიდ მიწების უფასოდ მისაკუთრებისათვის დავას ეწევა, ტყეებს შურით სჩეხს, მხოლოდ ამ დროს მიწის დამუშავება არ სწარმოებს. თუ ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა რუსეთს დიდი განსაცდელი მოელის. ესევე ითქმის კავკასიის შესახებაც. კავკასიის მცხოვრებთა გამოკვება უმეტეს წილად რუსეთის ბეღელის საქმე იყო. მაგრამ დღეს როდესაც რუსეთი თვითონ სანოვაგის ნაკლებობას განიცდის, ცხადია კავკასიას ვერას უშველის. საქართველოს კუთხეებიდანაც მოგვდის სამწუხარო ცნობები, რომ წელს ბევრი მიწა დაუმუშავებელი რჩება. ამასთანავე ისიც გვაცნობეს, რომ წელს იმერეთში აბრეშუმის მოსავალი ძლიერ შემცირდება. მეაბრეშუმეობა დიდი მანუგეშებელი დარგი იყო იმერეთის მცხოვრებთა და რას უნდა მიეწეროს მისი გვერდის ავლა?

ეს მოვლენა მეტად დამაფიქრებელი და გულსაკლავია. დღეს ყოველი ოდნავ შეგნებულის მოვალეობაა ხალხს აცნობოს ეს მიუტევებელი შეცდომა.., დაუყონებლივ უნდა მოხდეს შეთანხმებული მუშაობა. შიმშილობის თავიდან ასაცდენად საკმაო არ არის, ხალხს შევაგნებინოთ, რომ მან მიწის დამუშავება განაგრძოს, საჭიროა სხვა ზომაც, სახელდობრ ხალხისთვის, მიწის სამუშაო მანქანების მიწოდება სათესლეს შეძენა, მეურნეობის ახალ დარგის შემუშავება. მაგალითად მიწების ორჯელ დათესვა. შაბიამანის საქმის მოწესრიგება. და სხვა. ამ ყოფნა არ ყოფნის საგანზე ქართველ ხალხს და ხელმძღვანელ საზოგადოებას ჰმართებს საჩქაროდ მოლაპარაკება და არსებულ მდგომარეობასთან შეფარდებული ზომების გამონახვა.

**ჯიხ.**

## ა. ჩხენკელის მოგზაურობა

**ს. რიონიდან თფილისამდის.**

ბ. კომისარი ბრუნდებოდა ბათუმიდან თფილისში. სადგურზე აუარებელი ხალხი ხვდებოდა დროშებით, მაგრამ კომისარი მეტათ დაღლილი იყო და ამისთვის ის ხალხს ვერ ეგებებოდა ჩვეულებისამებრ. როდესაც სადგურ ბელაგორს მიუახლოვდით ხალხი დროშებით გამოექანა მის ვაგონისკენ და „ვაშას" ძახილით შეჩერდა მის წინ.

ბ. კომისარს არ უნდოდა გამოსვლა რადგან, როგორც წინეთ ვთქვი, მეტათ დაღლილი იყო, სალაპარაკოთ ხმა არ ქონდა. მაგრამ ხალხი გაიძახოდა „გვეჩვენოს მეტი არაფერი გვინდაო". კომისარი გამოვიდა, ხალხი აღფრთოვანებით მიეგება. ერთმა მუშათა საბჭოს წარმომადგენელმა სიტყვით მიმართა. ბ. კომისარი იძულებული გახდა სიტყვით გამომშვიდობებოდა, ულოცავდა ხალხს თავისუფლებას, ულოცავდა „ქართველ ერს თავის სურვილის განხორციელებას „გაუმარჯოს ქართველ ერსო" უკანასკნელათ ამ სიტყვებით გამოესალმა.

ხალხი მეტათ აღაფრთოვანა ასეთმა სიტყვებმა. მოხუცი მამაკაცები ლოცვა-კურთხევით ისტუმრებდა სამშობლოს მოყვარულს ადამიანს. ბელაგორში სხვათა შორის ცუდი შემთხვევა მოსულა: სამხედრო პირებს დაუმტვრევიათ ფედერალისტების კლუბი, ერთმა სტუდენტთაგანმა ეს ყოველივე უამბო კომისარს, რომელიც დაპირდა დახმარებას.

ს. ხაშურში აუარებელ ხალხს მოეყარა თავი, აქაც იძულებული გახდა კომისარი ხალხს ჩვენებოდა ის მოუწოდებდა რევოლიუციისათვის ხელი შეეწყოთ. საღამოს შვიდის ნახევარი საათი იქნებოდა, როდესაც გორის სადგურს მიუახლოვდით. აქ კი სულ სხვა ფერი ედო ხალხის შეკრებულობას. სადგურის გალავანში სამხედრო პირები შპალიერებათ იყო ჩაყენებული. ხალხი ელოდებოდა კომისარს. აქ კი ჩხენკელი მატარებელიდან ჩამობრძანდა და ჯარს მიესალმა. აქაც მუშათა საბჭოს წარმომადგენელმა სიტყვით მიმართა. კომისარმა ჯარს გააცნო დღევანდელი რუსეთის რევოლიუციის მნიშვნელობა და სამხედრო პირების მოვალეობა. მათ პირობა მისცეს მხარი დაეჭირათ ახალ მთავრობისათვის.

ბ. ა. ჩხენკელი აღფრთოვანებით და „ვაშა" ძახილით გაისტუმრეს.

ღამის 9 საათზე კომისარი თფილისში მივიდა.

**შ. ც—ძე.**

## ქართული პრესა

მომხდარი რევოლიუციის სიდიადე აქამდი გარეგნული მხრით იტაცებდა და ხიბლავდა საზოგადოებას. მაგრამ დრომ განვლო და საზოგადოებამ გულისყური მიაქცია შინაგან მავლენებს. აქ კი აღმოჩნდა, რომ ყოველივე რიგიანად არ მიმდინარეობს. შეუგნებელს ხალხის ბურუსში ყოფნას ხელს უწყობს ხელოვნურად აყენებული პარტიული კორიანტელი, რაზედაც გაზ. „საქართველო" სამართლიანად შენიშნავს:

თანდათან დავიწყებას ეძლევა რევოლიუციის ნამდვილი ბუნება, მის წმინდა პოლიტიკური ხასიათი, უკიდურესი პარტიები თავს ვერ იკავებენ და ზოგანზოგან სოციალურ საკითხების უკიდურესად გადაჭრას ეტანებიან.

ხალხი ხმებსა და ჭორებს არის აყოლილი. ამ დროს კი პირად პარტიულ მიზნების განხორციელების სურვილი ჭეშმარიტებას ძირს უთხრის დაწყებულ საქმეს;

რევოლიუციის საფრთხე დღევანდელი უკიდურეს სოციალისტთა პროგრამულ პრინციპის ძლიერებაში იმალება. ნებისყოფის არაჩვეულებრივი ენერგია უნდა გამოიჩინონ ამ პარტიებმა, რომ თავიანთ საბოლოო მიზნების განხორციელება ეხლავე გულში არ გაიტარონ; არა ჩვეულებრივი მოქმედება და ენერგია უნდა განავითარონ თავიანთ პროგრამულ პრინციპის ნიადაგზე ყველა არა იმ სოციალისტურმა რევოლიუციურმა ძალებმა და პარტიებმა, რომ უკიდურესი პარტიები შეაკავონ მაქსიმალურ გაქანებისკენ.

ძალაუნებურად ამ გავლენებზე გაახსენდება მკიახველს ის საშინელი წინააღმდეგობა ეროვნული იდეის. და კერძოთ ავტონომიის მიმართ, რომელსაც ჩვენი ესდეკები იჩენდენ დღესაც განაგრძობენ. თუ სოციალისტური პარტიები დღეს თავს ვერ იკავებენ, რომ მათი პრესის თითქმი მაქსიმუმის განხორციელება მოითხოვონ, რაც ჭეშმარიტად ხელს შეუშლის რევოლიუციის საქმეს, რაზე ქმნიდენ ისინი ხალხში საშინელ ხელოვნურ ბრძოლას ეროვნულ იდეის წინააღმდეგ, რომლის გადაწყვეტა რევოლიუციის პირველ საქმეს შეადგენს? ეროვნული საკითხის გადაჭრის აუცილებლობა თვით დღევანდელმა მომენტმა წარმოადგინა. სჩანს ცხოვრების მოთხოვნილებას მარტო ხელოვნური თეორიები არა ქმნიან, ამიტომ გაზეთი „საქ". ასე აბოლოვებს მეთაურს:

„ყველა ამ მოსაზრების ძალით რევოლიუციის ნამდვილი მეგობრები უნდა დაერიდნენ რევოლიუციურის გზით სოციალურ საკითხების გადაჭრას, კლასთა შორის უთანხმოების ჩამოგდებას. დაე, რუსეთმა განიმტკიცოს სრული დემოკრატიული წყობილება, დაე, საქართველომა და სხვა ქვეყნებმა რუსეთში მოიპოვონ ეროვნული თავისუფლება და სრული დემოკრატიული წყობილება და მაშინ დადგება ხანა სოციალური საკითხების ნორმალური გადაჭრისა.

* * *

„სახ. ფურც. რუსეთის ერთა შეთანხმების შესახებ სწერს:

ჩვენ, კავკასიელ ერებსაც გვაქვს განსაზღვრული მისწრაფებანი და გვსურს ჩვენი ცხოვრება ისე მოვაწყოთ, რანაირათაც ხალხის კეთილდღეობა და მისი ინტერესები გვიკარნახებს. უეჭველია მისწრაფება ეროვნულ შინაურ ცხოვრებაში დამოუკიდებლობის მოპოებისა, ხოლო საერთო საქმეებში ერთად ყოფნა—რუსეთში და კავკასიაში მოსახლე ყველა ერის იდეალია. ავტონომია ეროვნული თავისუფლებაა და გონიერი ხალხი მას ვერასფრით აუხვევს გვერდს. მაშასადამე კავკასიის ყველა ერიც უეჭველია თავის გეგმას წარადგენს მომავალ დამფუძნებელ კრებაზე.

მაგრამ ვიდრე დამფუძნებელი კრება იქნებოდეს მოწვეული, კავკასიელი ერები აქ, ჩვენშივე უნდა შევთანხმდეთ და დაახლოვებით საერთო პლატფორმა შევიმუშაოთ. ხოლო ამისათვის წინასწარი მუშაობა, პროპაგანდა, თავის იდეალის მზის სინათლეზე გამოტანაა საჭირო. ჩვენ უკვე ვიცით, რომ მთელი ჩრდილოეთ კავკასიის მთიულეთი, დაღესტნიანად ერთს განსაზღვრულს გზას დაადგა, თვითმართველობას მოითხოვს და კავკასიის სხვა ერებთან შეთანხმებით მოქმედებას აპირებს. შეერთებული, ერთი მიზნით გატაცებული კავკასია დიდ ძალას წარმოადგენს და ანგარიშს გაუწევს, მით [illegible] როგორიც ავტონომიაა. ამიტომ, ავტონომიას მოითხოვს [illegible] სახელმწიფო ინტერესი და რევოლიუციის საქმე.

მაშ ასე: შეთანხმება და დაახლოებით საერთო პლატფორმის გამომუშავება დამფუძნებელ კრებამდე. პროპაგანდა, ქადაგება და ხალხში მუშაობა ამ საერთო პლატფორმის გარშემო. ერთად ყოფნა, საერთო ძალით მედგრად დაცვა ამ პლატფორმისა დამფუძნებელ კრებაზე —აი, რა უნდა იყოს დღევანდელი მიზანი კავკასიელ ერებისა და რა უნდა ედვას საფუძვლად ჩვენს მოქმედებას.

## უკანასკნელი ამბები.

„რანნე უტროს"-ს გადმოცემით, პეტროგრადში გავრცელდა აუარებელი პროვაკაციული მოწოდება შემდეგი შინაარსის: „სამშობლოს, მეფის და ტახტის ერთგულნო შვილნო! მტრების ზეიმი და სიხარული მალე შეწყდება და ტახტზე ისევ ჩვენი ძვირფასი მამა მეფე ნიკოლოზ მეორე ავა. არ დავზოგოთ ძალა და სიცოცხლე, ავიღოთ ხელში აჯანყების დროშა, ამაში ჩვენ დაგვეხმარებიან ყოფილი ჩვენი მტრები და ეხლანდელი მეგობრები გერმანელები. იმათთან თავისუფლათ შეკავშირება-შეერთებისათვის ყოველივე მზათაა, ჩვენ წავალთ მათთან ხელი-ხელ ჩაკიდებული პეტროგრადში საყვარელი მეფის ნიკოლოზ 2-ს გასანთავისუფლებლათ, რომელიც ბნელი ძალებისა და „ჟიდების" შეერთებულმა ძალამ მოაშორა ტახტს. მოიგონეთ 21 მარტი 1917 წლისა, ღამის 2 საათი და სასწაულთ-მომქმედნი წმ. გრიგოლი, აჯანყებულთა დროშა უნდა აღვმართოთ ყოველგან. ეს ღამე იქნება წარუშლელი ისტორიული, როგორც „ვარფოლომეისღამე". აჯანყების სიგნალია წითელი ფერის მაშხალა! წინ ჩვენ მამა მეფის დასახსნელათ, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს ეს!

ეს ბრძანება გამოეცხადოს ყველა ერთგულ ჯარებს, ვისაც უყვარს მეფე, ტახტის მემკვიდრე და სამშობლო. საიდუმლო კრების წევრებს—ჯარების უფროსებს ვთხოვთ ეს მიმართვა გაავრცელოს".

გაზეთის გადმოცემით, ამ პროვოკაციის რამოდენიმე მონაწილენი უკვე დაატუსაღეს, შავრაზმელთა ბუდე აღმოაჩინეს აგრეთვე კიშინიევში. მათ ხელმძღვანელობდა ყოფილი ბოქაული. რომელიც მერე მალიციონერათ ჩაწერილიყო.

იტალიელი სოციალისტ-რეფორმისტები საგრარო კომუნიზმის შემოღებასა თხოულობენ. რუსეთში წამოსულა იტალიელი სოციალისტი მარგაბი და პრესა უკმაყოფილოა, რომ მარგაბი გერმანეთზე გაივლის.

ხმები დადის ბოლგარეთში რევოლიუცია იწყებაო.

ვაშინგტონში რუსმა ინჟინერმა სთხოვეს პრეზიდენტ უილსონს, რუსეთში 500 ამერიკელი რკინის გზის მოსამსახურენი გაჰგზავნეთ რუსეთის რკინის გზების მოსაწყობადაო. პრეზიდენტი თანახმაა.

## მილოცვის წერილები.

ქათალიკოსის მოსაყდრე ყდ. სამღვდელო ლეონიდს

ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულთან ერთად მოგილოცავთ ქართული ეკლესიის უფლებათა აღდგომის დღესაც 12 მარტს ამა ღირსსახსოვარი 1917 წ. ვაერთებ ამ ორ სასიხარულო დღეს, რადგან ვერ გამირკვევია მათში რომელს მეტი მნიშვნელობა მივცე. ღმერთმა მოგცესთ, მეუფეო, ჯანმრთელობა და დღეგრძელობა, რომ თავისუფალსა და დიდ რუსეთთან ძმურათ შეკავშირებულ სამშობლოში გენახოსთ ყოველმხრივ აყვავებული ქართული ეკლესია.

ამასვე გისურვებს ღვთის მსახურებაში თქვენი სახელის ვაგონების დროს სოფ. ლორეშის მცხოვრებნიც, რომელთაც 2 ივლ. 1602 წ. თქვენი მეუფებისაგან მიიღეს დარიგება და ლოცვა-კურთხევა. 2 აპრ. 1917 წ.

**მღ. სიმონ ჭუმბურიძე.**

* * *

**ბრძოლის ველზე**

გაიხარეთ, მიახწიეთ ის რაც ხალხსა სურდა და მით უმეტეს „საქართველოს"

მოკილიკავთ ქუთათურებს, ჩვენ, პატარა ჯგუფს ქართველებისა, რომელნიც ეხლა ვდგევართ ცივ მთებში, თოვლით შემოსილ „შავი მთის“ პოზიციაზე თხრილებში ჩვენი სული მანდ არის, ნეტავი თქვენა რომ მანდ ნეტარებას განიცდით ჩვენ კი მაგას მოკლებული ვართ ამ კარბუქში ჩაცვენილნი, მაგრამ გამხნევებულნი, იმედით აღჭურვილნი ვებრძვით მტერს, რათა იქმნას დაცული ჩვენი საყვარელი პაწია კოხტა საქართველო. გილოცავთ ძველი დახავსებული რეჟიმის დამობას და ახლის აყვავებას.

2 მარტი.

მლ. ფილიმონ ცინცაძე

## როგორ შეხვდენ აღდგომას სოფლად.

„ქრისტე აღსდგა პეტრე!“ ჭეშმარიტათ, ჩემო ივანე—მიუგო პეტრემ და მხიარულმა გადაკოცნა იგი. „დიდი, კარგი დღესგაგვითენდა, ივანე განაგრძო პეტრემ—დღე მზემ ჩვენთვისაც გამოანათა, აპა გეიხედე ყველას სახეზე ღიმილს შენიშნამ. ეგ არაფერია—მიუგო ივანემ, წინადაც ვიცინოდით, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეხლა გულიც ხარობს, გული ეხლა უფრო მეტი გრძნობით და აღტაცებით სცემს“; ლაპარაკში ჩაერია ალექსი.

ეს ყველაფერი კარგი საქმეა, მაგრამ ვაი თუ ისევე საქმე გააფუჭონ, პარტიებს ჩხუბი მოსვლია და ერთმანეთს ვერ ურიგდებიან.- მეც მაგ აზრისა ვარ—თქვა პეტრემ. რადროს ჩხუბია საქმე დაიღუპება ღმერთმანი. იმას მოგახსენებდი—განაგრძო ალექსიმ—აგერ ჩვენი გიგოიას ვაჟი ჩამოვიდა ტეხნიკი რომაა და იმან მითხრა, რომ მეც მუშის პარტიის ვარ დემოკრატიო, მერე ვკითხე მართალია, ბატონო, რომ ე თებერვალისტები გონია ამბობენ ბატონყმობის აღგენაზეთქო? არაო მითხრა მან არავინ დაგიჯეროს, რომ რომელიმე პარტიას ჩვენში ბატონყმობის აღგენა სურდესო და მე თითონ გლეხის შვილი არა ვარო—მითხრა, რომ ვინმეს ბატონყმობის აღგენა უნდოდეს, მე თითონ მოგიწოდებდით მათ წინააღმდეგ წაგიყვანდითო, ააშენა ღმერთმა რომ გაგვაგებია თორემ ისე გულმოსული ვიყავით, რომ აქაური აზნაურები კინაღამ ამოვწყვიტეთ ხოდა საქმეც მაგაშია თქვა ივანემ—ჩვენ არ უნდა დაუგდოთ ყური ათასგვარ გავრცელებულ ჭორებს, თორემ ერთმანეთს ამოვხოცავთ და მტერი გაიხარებს.

დიდი სიფრთხილე გვჭირია, თურმე გაიძახიან გაზეთები, ძველი მთავრობ ჯერ სულ არ მოსპობილაო, ისენი პირველ მოხერხებულ შემთხვევისთანავე ამოქმედდებიანო, ამიტომ არ უნდა ავირდაიროთ და ხელი ხელ ჩაკიდებული ძმურათ ახალ ცხოვრებას გავყვეთო—დაასრულა პეტრემ...

დ. ჟ—ძე.

## ეროვნული კითხვა.

### პოლონური ფულის შემოღება.

სტოკჰოლმი. 6 აპრილს. ვარშავიდან იტყობინებიან: გენერალ გუბერნატორის განკარგულებით 13 აპრილიდან ვარშავის საგენერალ-გუბერნატოროში რუსული მანეთი ყოველივე ფასს ჰკარგავს მანეთის ნაცვლად შემოიღებენ პოლონურ მარკას. რუსულ ვალიუტას ეკარგება აქტების წარმოების ძალა. პოლონურ მარკის ღირებულება გერმანულ მარკას უდრის. ამ განკარგულების დამრღვეველი იხდის ჯარიმას 1.100000 მარკამდე ან 5 წელს ციხეში უნდა ჩაჯდეს.

„თავისუფალი ყუბანი“. ეკატერინოდარის გაზეთი „ყუბანის საოლქო უწყებანი“ ეხლა გამოდის ამ სათაურით: „თავისუფალი ყუბანი“.

## ღია წერილი.

### გაზ. „ერთობას“

თქვენს პატივცემულ გაზეთის მეთოთხმეტე ნომერში მოყვანილი იყო ცნობა, რომ „ამ სამი კვირის წინეთ ს-ფედერალისტებმა და ნაციონალ დემოკრატებმა მოუწოდეს ქართველ ჯარისკაცთ და აფიცრებს დაეარსებიათ ცალკე სამხედრო ორგანიზაცია. თავისთავად ცხადი იყო, რომ ნაციონალისტების ასეთ ნაბიჯს რევოლიუციონურ ჯარში დეზორგანიზაცია შეჰქონდა, რეაქციას აძლიერებდაო და სხვა“.

პირველ ყოვლისა სამხედრო კავშირი გამოსთქვამს თავის აღშფოთებას ეგეთ ცილისწამებისათვის, ვინაიდან კავშირის დაარსებაში არავითარი წილი არ უდევს არავითარ პარტიას. კავშირი დგას ყოველივე პარტიის გარეშე, თუმცა წევრებს შეუძლიათ, როგორც მოქალაქეს, იყოს წევრი რომელიმე პარტიის, მაგრამ არც ერთ წევრს არ აქვს უფლება კავშირის მოქმედება დაუქვემდებაროს რომელიმე პარტიას.

კავშირის მიზანს შეადგენს შემოიკრიბოს გარშემო ქართველი მხედრობა, შეიტანოს მათში ღრმა შეგნება თანამედროვე მომენტისა და გაუთვალისწინოს მათ მომავალი მოვლენანი, გააღრმაოს ავტორიტეტი ახალი მთავრობისა, რომელმაც უნდა მიგვიყვანოს დამფუძნებელ კრების საშუალებით დემოკრატიულ რესპუბლიკამდის, რომლის დასაცავად და დასამყარებლად კავშირი არ დაზოგავს არავითარ საშუალებას.

ამას გარდა კავშირი ცდილობს მიაწოდოს ქართველ მხედრობას ჟურნალ გაზეთები და წიგნები, შეასწავლოს მათ წერა-კითხვა რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება და მისცეს მათ იურიდიული დახმარება საჭიროებისამებრ.

როგორც ხედავთ, ჩვენს მოქმედობაში არაფერი არის არც რეაქციონური და არც კონტრ-რევოლიუციონური, არამედ ვაკეთებთ იმას, რასაც თქვენ საერთოდ.

თუ თქვენ გაშინებთ, რომ ჩვენს პროგრამაში არის ავტონომიის მოთხოვნა, ამაში კავშირი ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ ხედავს, ვინაიდგან ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ დემოკრატიულ რესპუბლიკური რუსეთი თავისთავად გულის ხმობს არა-რუს ერთა ავტონომიურად მოწყობას და მაშასადამე ჩვენ ისეთივე უფლება გვაქვს გამოვესარჩლოთ და დავიცვათ ავტონომია, როგორც რესპუბლიკა. მივიღებთ რა მხედველობაში ყველა ზემოდ ჩამოთვლილ მოსაზრებებს. კავშირი დარწმუნებულია, რომ თქვენი და ჩვენი მოქმედება არაფრით განსხვავდება, რად განაც როგორც თქვენ, ისე ჩვენ, ვაკეთებთ ერთ და იმავე საქმეს.

მიუხედავად ამისა, თქვენ უკვე გამოგვაცხადეთ რეაქციონერებად და რევოლიუციის მოღალატედ რაც არა ქვეთილშობილიურ მოქმედებათ მიაჩნია ქართველ მხედართა კავშირს თქვენის მხრით.

ამისათვის კავშირი მოგმართავთ თქვენ როგორც მოქალაქეებს და ჯენტლემენტებს და გთხოვთ ნუ მოგვახვევთ თავზედ ცილს და ხელი-ხელ ჩაკიდებული გავსწიოთ საერთო საქმის გასაკეთებლად, თორემ თუ თქვენ კიდევ განაგრძეთ ქართველ და არა ქართველ ჯარის კაცებში დაბეზღება და ცილისწამება, წინდაუხედავად და უდიერად მოეპყარით იმ ადამიანებს, რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ თავი დასდონ იმ საქმისათვის რასაც თქვენთ ემსახურებით, მაშინ რასაკვირველია უფლება გვექნება იმ ზომებით მოგმართოთ, რითაც თქვენ სარგებლობთ, რაც აუცილებლად ძალთშეერთების მაგივრად გამოიწვევს ძალთა გათიშვას, რომელიც აუცილებლად ავნებს საერთო საქმეს.

პატივისცემით მართველ მხედართა

კავშირი.

---

ღია წერილზე გაზ. „ერთობა“ უპასუხებს:

„სახ. ფურცელი“ მე 834 ნომერში დაბეჭდილია „ქართველ მხედართა კავშირის“ ღია წერილი, ჩვენდამი მომართული.

წერილის ავტორნი გვისაყვედურებენ, თითქო ჩვენ მათ თავზე ვახვევთ უსაფუძვლო ბრალდებებს და მათ მოქმედებას ტყვილა უბრალოთ ვუწოდებთ კონტრ-რევოლიუციონურს. ისინი ორ მთავარ დებულებას აყენებენ: ა) „ქართველ მხედართა კავშირი“ არ არის პარტიული ორგანიზაცია და ბ) ეს კავშირი იმავე მიზანს ემსახურება, როგორსაც ჩვენ.

მართალია ეს?

ძალიან ვეჭვობთ! არავისთვის საიდუმლოება არ არის, რომ ქართველ მხედრობის ცალკე დარაზმის იდეას გასავალი აქვს მხოლოდ და მხოლოდ ნაციონალისტურ წრეებში, რომ სოციალ დემოკრატიამ ის დაგმო და თავის თანამოაზრეებს მოუწოდა არა თუ მონაწილეობა მიეღო მასში, არამედ ხელი შეეშალა. ცხადია, რაც გინდ დიდი აღშფოთება გამოსთქვას კავშირმა, ის მაინც ვერ დაამტკიცებს თავის უპარტიობას იგი ნაციონალისტური ორგანიზაციაა, განსაზღვრული მიზნით დაარსებული.

ეს ერთი.

მეორეც, კავშირის მოქმედება, მოქმედება და არა სუბიექტური სურვილი უეჭველად კონტრ რევოლიუციონერია საქმე იმაში როდია, თუ რას ფიქრობენ „ქართველ მხედართა კავშირის“ ხელმძღვანელები, არამედ რა შედეგი მოსდევს მათ ცალკე დარაზმვას. აი, ამ მხრივ თუ გავსინჯავთ საკითხს, ცხადი იქნება, რომ კავშირის არსებობა და მოღვაწეობა რევოლიუციის. ხელისშემშლელი უფრო მეტია: არსებობა მას, შეაქვს განხეთქილება დემოკრატიულ მოძრაობაში და რაც ყველაზე მეტი უფრთხილდებიან დიდსია—იწვევს მტრულ გრძნობებს ქართველი ხალხისადმი სხვა ერის ჯარისკაცებში. განსაკუთრებით რუსებში. ნუ თუ ამას ვერ ხედავენ თითონ კავშირის ხელმძღვანელები? ნუ თუ ვერ გრძნობენ ისინი თავისი მოღვაწეობის უარყოფითი შედეგებს? თუ გაირკვებიან და დაფიქრდებიან ამის დასამტკიცებლათ ჩვენზე მეტ ფაქტებს შეაგროვებენ.

გამოსავალი გზა ერთად ერთია: თუ მართლა „ქართველ მხედრობის კავშირის“ წევრებს რევოლიუციის სამსახური სურთ, მათ დაუყონებლივ უნდა გამოაცხადონ კავშირი დაშლილათ. იმ მიზნის სამსახური, რომელსაც ისინი აყენებენ, ე. ი. კულტურული მუშაობა და ზოგიერთი პოლიტიკური იდეების ქადაგება, უამკაშიროთაც კარგათ შეიძლება. კიდევ მეტი, ეს კავშირი მიზანს სრულიად არ ამართლებს და ხელს უშლის ამ მიზანს.

უბრალო გონიერება და სულ მცირე პოლიტიკური ტაქტი საჭიროა, რომ ამაში „ქართველ მხედართა კავშირში“ წევრები ნათლათ დარწმუნდენ!

პასუხი დარბაისლური და ზრდილობიანია, თუმცა ახალს არას ამბობს...

სჩანს მხოლოდ „ერთობის“ ჯგუფს ჰქონია ნება შეერთებისაცა და ბრძოლისაც..

---

## კონსტიტუციურ-დემოკრატიულ პარტიის ყრილობა.

### დღე პირველი.

ხსენებულ პარტიის მეშვიდე ყრილობა გაიხსნა პეტროგრადში 25 მარტს. დაესწრო რუსეთის სხვა და სხვა კუთხიდგან სულ 305 დელეგატი. კრება გახსნა თავ. პ. დოლგორუკოვმა. ამ უკანასკნელმა თავის მისასალმებელ სიტყვაში სხვათა შორის განაცხადა. ომის სრულ გამარჯვებამდე მიყვანა ახლაც ლოზუნგად უნდა დარჩესო. ორატორის აზრით მკვიდრი ზავი და ხალხთა ძმობა გერმანულ მილიტარიზმისა და იმპერიალიზმის დაუმხობლად შეუძლებელია ის იმედოვნებს, რომ რუსეთში დაძრული დემოკრატიზმის ტალღა ევროპის ცენტრად სახელმწიფოებამდეც მიაღწევს და საბოლოოდ წალეკავს თვითმპყრობელობისა და ფეოდალიზმის ყოველ ნაშთს.

კრება ადგენს მიესალმოს რუსეთის სახელოვან ჯარის უზენაესს მთავარ სარდალს გენ. ალექსეევს. კრების თავმჯდომარედ არჩეულ ვინავერის წინადადებით გამოაქვთ აგრეთვე დადგენილება, სალამი უძღვნან ყველა მოკავშირე სახელმწიფოს და მათ შორის ახლად გამოსულ ამერიკის დიდ რესპუბლიკასაც.

პარტიის მოსკოველ კომიტეტის სახელით კრებას მიესალმება მანდელშტამი. მთელი ძალა-უფლება დროებით მთავრობას უნდა ეკუთვნოდესო—ამბობს იგი. ორმთავრობა ამ ჟამად ყოვლად შეუწყნარებელია ყოველი ორმთავრობა დიდ უბედურებას უქადის როგორც ხალხსა და მისს თავისუფლებას ისე სახელმწიფოს და დამოუკიდებლობასა და მთლიანობასო.

საქმითი ნაწილი სხდომისა იწყება კოკოშკინის მოხსენებით, რომელიც პარტიულ პროგრამის იმ ნაწილის გადათვალიერებას ეხება, სადაც საუბარია რუსეთის სახელმწიფო წესწყობილების შესახებ. 11 წლის წინედ პარტიულ პროგრამაში შეტანილ იქმნა პუნქტი, რომელიც რუსეთისათვის პარლამენტურ მონარქიის საჭიროებას აღიარებდა. მაგრამ—მომხსენებლის აზრით—ეს იმას კი არ მოასწავებს, რომ კადეტები ნამდვილად მონარქისტები იყვნენ. როცა 11 წლის წინედ სახელმწიფო წეს-წყობილების საკითხი სწყდებოდა, პარტია მაშინდელ მომენტის ვითარებას უწევდა ანგარიშს და ამ ვითარებიდგან გამოდიოდა. „მაშინ მონარქიამ ისიც იყო აღიარა წარმომადგენლობით დაწესებულებათა საჭიროება და ბუნებრივი იყო, რომ რესპუბლიკაზე ლაპარაკი მიზან შეუსაბამოთ გვეჩვენებოდა. ხალხიც 11 წლის წინედ მონარქიას სულ სხვა თვალით უყურებდა ჩვენ მხედველობაში მივიღეთ, რომ ხალხი ჩვეული იყო თავისი წარმოდგენა სახელმწიფოს შესახებ უთუოდ ცოცხალ სიმბოლოში განეხორციელებინა. ამ ჟამად გარემოება ძირიანად შეცვლილია და ხალხს ეს სიმბოლო აღარ ეჭირვება. ომის განმავლობაში გამოირკვა, რომ მონარქისთვისაც და სამშობლოსთვისაც მხარის დაჭერა შეუძლებელია, რადგან მონარქია სამშობლოს მოწინააღმდეგედ გამოვიდა. მხარის დაჭერა შეიძლებოდა ან მეფის ან სამშობლოს სასარგებლოდ ხალხს სარჩევი არა ჰქონდა რა. და ჯარი მიემხრო სამშობლოს და მეფეს გადუდგა. ორატორი აღნიშნავს, რომ აწ არსებული დროებითი მთავრობის რეჟიმი რესპუბლიკურია და არა მონარქიული და თუ კი იგი შესძლებს თავის ვალდებულებათა ცხოვრებაში გატარებას, ხალხს ცხადლივ დაუმტკიცდება უმეფო. რესპუბლიკურ წყობილების შესაძლებლობა.

სრულიად სახალხო ერთობის ინტერესი მოითხოვს, რომ პარტია რესპუბლიკურ წყობილების მოთხოვნას შეუერთდეს.

მოხსენების დებულებანი კოკოშკინმა შემდეგ ნაირად ჩამოაყალიბა: რუსეთში უნდა იყოს დემოკრატიული პარლამენტური რესპუბლიკა. კანონმდებლობითი უფლება უნდა ეკუთვნოდეს სახალხო წარმომადგენლობას. აღმასრულებელ ძალას სათავეში უნდა უდგეს რესპუბლიკის პრეზიდენტი, რომელსაც განსაზღვრულ ვადით სახალხო წარმომადგენლობა უნდა ირჩევდეს. პრეზიდენტი საქმეებს სახალხო წარმომადგენლობის წინაშე პასუხისმგებელ სამინისტროს შემწეობით უნდა განაგებდეს.

დასასრულ მომხსენებელი ამბობს: „რესპუბლიკის პრინციპის განცხადებას ომის შედეგებზე უსათუოდ სასიკეთო გავლენა ექნება. ამ ომის განმათავისუფლებელ ხასიათს ჩვენ მუდამ აღვიარებდით, მაგრამ იძულებული ვიყავით გავყოლოდით დროშას, რომელსაც დესპოტიზმის მწიკვლი ეცხო, ეს დროშა დაეცა. ის აღარ არის, ეხლა უნდა დავუმტკიცოთ მთელ ქვეყანას, რომ რუსეთი დაუბრუნებლივ ახალ გზას დაადგა და, დაადგა რა თავისუფლების გზას, არ შეუძლია სხვა ერებს მიუტანოს რა გარდა თავისუფლებისა.

მოხსენების შემდეგ იმართება კამათი კოსტრომის დელეგატი კუხარენკო დემოკრატიულ ფედერატიულ რესპუბლიკას მოითხოვს. თავმჯდომარე ვინავერი მოაგონებს კრებას, რომ საოლქო ავტონომიის საკითხის შესამუშავებლად. პარტიის ცენტრალ კომიტეტს გადაწყვეტილი აქვს საგანგებო კომისიის შედგენა ეს საკითხი განსახილველად შემდეგ ყრილობას უნდა გადაეცეს. თავ. ე. ტრუბეცკოი ამბობს, რომ სოფლის შეგნებული ნაწილი კატეგორიულად რესპუბლიკას მოითხოვს; ყრუ, გაუნათლებელი სოფლის აზრი კი ფრიად ბუნდოვანია. იაროსლავის დელეგატი დრუჟინინი მოუთხრობს კრებას, რომ იაროსლავში მომხდარ გლეხთა ყრილობაზე წინადადება რესპუბლიკურ წესწყობილების შესახებ დიდის აღფრთოვანებით იქნა მიღებული. მაქსუდოვი აცხადებს: ყველა მამადიანი დემოკრატიულ რესპუბლიკის მომხრეა, ხოლო რესპუბლიკა დეცენტრალისტური უნდა იყოს, როცა ყოველ ერს შეეძლება ისე მოეწყოს, როგორც თვითონ მოესურვებაო.

სალამოს სხდომაზე კოკოშკინმა წაიკითხა მოხსენება დამფუძნებელ კრების შესახებ. მომხსენებლის აზრით ორ—სამ ან ოთხ თვეში დამფუძნებელ კრების მოწვევა სრულიად შეუძლებელია. წინასწარ შესამუშავებელია საარჩევნო კანონი, რაც მეტად რთულ მუშაობას მოითხოვს. წინასწარ შესაქმნელია ადგილობრივი ორგანოები, რომელნიც საარჩევნო სიებს შეიმუშავებენ და არჩევნებს ხელმძღვანელობას გაუწევენ. ასეთ ორგანოებად იქნებიან ალბად საყოველთაო ხმის მიცემით არჩეული ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოები. ორატორი შეეხო შემდეგ პროპორციულ არჩევნების საკითხს, დამფუძნებელ კრების კომპეტენციებს და დასასრულ წარმოადგინა რეზოლუციის შემდეგი პროექტი, რომელიც კრებისაგან მიღებულ იქმნა:

1) დამფუძნებელი კრება მოწვეულ უნდა იქნეს რაც შეიძლება მოკლე დროში იმ გარანტიების დაცვით, რომელნიც საჭირო არიან, რათა არჩევნებში სისწორით გამოიხატოს ხალხის ნებისყოფა.

2) დამფუძნებელი კრება იქნება სრულ უფლებიანი, რის გამო მისი კომპეტენციებისა და მოქმედების ხანგრძლივობის განსაზღვრა მხოლოდ მასზე იქნება დამოკიდებული. მაგრამ უნდა აღვიაროთ სასურველად, რომ თავისი დანიშნულების შესრულების ე. ი. რუსეთში კონსტიტუციურ წესწყობილების დამყარებისა და დამფუძნებელ კრების მოწვევის ჟამს წარმომდგარ სახელმწიფო მორიგ საკითხთა გადაწყვეტის შემდეგ დროებითმა მთავრობამ რაც შეიძლება ჩქარა ადგილი დაუთმოს მის მიერ დადგენილ წესწყობილებას.

3). დამფუძნებელ კრების მოქმედების განმავლობაში აღმასრულებელი ძალა ისე უნდა იყოს მოწყობილი, როგორც ამას მოითხოვს დამფუძნებელ კრების წინაშე პასუხისმგებელ სამინისტროს პრინციპი.

---

რედაქტორ გამომცემელი

**დ. ბ. კვირკელია.**

## რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 8 ს. | წ. |
| „ | — სალამ. — | 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის — | 1 ს. | „ |
| ფოთიდან | — დილის — | 10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | — სალამოს — | 6 ს. 50 | „ |
| მარელისიდან | — დილის — | 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | 11 ს. — | „ |
| „ | — ღამის | —11 ს. 34 | „ |
| ბათომისაკენ | — სალამოს — | 7 ს. 5 | „ |
| „ | — დილის — | 7 ს. | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 4 ს. | „ |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 8 ს. 40 | „ |
| მარელისისაკენ | — დღით — | 5 ს. 20 | „ |


## ქირავდება

ორ სართულიანი სახლი დიდი ეზო[illegible] სასწავლებლისთვის ან სხვა რაიმე [illegible] სებულებისათვის. იურჩენკოს ქუჩა. წონავა 4—

ს. ბუგეულს რაჭის მაზრაშიდ პირველ აპრილიდან

## განახლდება

ძმ. წულუკიძეების **გოგირდის აბანოს** მუშაობა. აბანოსთან არის, ც[illegible] მოწყობილი ოთახი ავათმყოფებისათვის და სუფთა საბანაო თეთ[რი] ქვის ვანები. იქვე იშოვება ყოველგვარი სანოვაგე მიმსვლელ [ავა]თმყოფებისთვის.

## ექიმები:

**გ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და სალ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

**ა. მ. ასათიანი** ლებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, სალამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

**ა. დ. მაჭავარიანი** (ყოფილი უფროსი ექიმი სმეცკის გულსუსტებიანთა სანატორიისა) იღებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფებს დილის 8—10 და სალამოს 6—8 საათამდე.

და დიანის ქ. სახლი ჩაჩანიძის (წულეისკირისეული

**ი. ჩარექოვი** ქალაქი[ს] საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.

(სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^1/_2$—2 საათ. სალამოს 6—8 ს.

მისამართი. ლე[...]ამოვის ქუჩა, ალიხბეგოვის სახ[ლი] ტელეფონი № 135. 4

**გამოცდილი სტუდენტი ამზადებს** მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. ჰყავს ჯგუფი საატესტატო მოწაფეებისა I და II ხარისხის. იყვანს პირობით. მისამართი: კაზაკოვის და გენერლის ქუჩის შესახვევი სახლი გიორგი სტეფანოვის №15 მიიღება 9—12 ს. და 3—6 საამამდე. მასწავლებელი ა. ზ. თელია. 5 თ.



სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქ., სახლი გოკიელო[ვის]